№1819 2015 წლის 27 აგვისტო ქ. თბილისი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისგან გათავისუფლების თაობაზე

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 7^4 მუხლის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, ქობულეთის შემოვლითი საავტომობილო გზის კმ 12+400 და კმ 31+259 მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ გათავისუფლდეს სასარგებლო წიაღისეულის (საშენი მასალების) მოპოვების ლიცენზიისგან სამი თვის ვადით და მიეცეს უფლება, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ზედა სამების მიმდებარე ტერიტორიაზე მოიპოვოს 198 000 $მ^3$ ქვიშახრეში, შემდეგი X და Y კოორდინატების საზღვრებში:

უბანი I		
№	X	Y
1	733416	4631520
2	733559	4631493
3	733687	4631463
4	733661	4631316
5	733529	4631347
6	733539	4631423
7	733403	4631439
S = 3.12 ჰა		
II უბანი		
№	X	Y
1	733781	4631150
2	733751	4631156
3	733764	4631228
4	733743	4631232
5	733674	4631249
6	733662	4631205
7	733630	4631206
8	733638	4631244
9	733547	4631261
10	733554	4631292

11	733519	4631296
12	733527	4631340
13	733687	4631306
14	733808	4631285
S = 2.18 ჰა		
WGS-1984		

2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნით (გეოსაინფორმაციო პაკეტი) განსაზ-ღვრული პირობების შესრულება;

ბ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული გამოიყენოს მხოლოდ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნისათვის;

გ) მოპოვებული 198 000 მ^3 სასარგებლო წიაღისეულიდან 20 000 მ^3 გამოიტანოს წიაღის მოპოვების ადგილიდან და შავი ზღვის სანაპირო ზოლის ნაპირდაცვითი ღონისძიებების განსახორციელებლად ჩაყაროს შემდეგ X-730393 და Y-4633923 კოორდინატების ფარგლებში;

დ) დებულების 7^4 მუხლის 2^1 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვლისწინებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლებისათვის უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი განსხვავებული თანხის -150 400 (ას ორმოცდაათი ათას ოთხასი)ლარის გადახდა, ამ განკარგულების

ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ ჩაეთვალოს „შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 ივნისის №1074 განკარგულების მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებად.

4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ მიერ ამ განკარგულების შესაბამისად ლიცენზიისაგან გათავისუფლების საფუძველზე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მიზნობრივად გამოყენების ზედამხედველობა განახორციელოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა (შემდგომში – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი).

5. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ვადის გასვლიდან ორი კვირის ვადაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს ინფორმაცია მოპოვებული ბუნებრივი რესურსის ოდენობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**